ცნობის ფურცელი

№ 1717 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 სამშაბათი, 5 თებერვალი № 1717

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“ „Моамбе“ ტელეფონი № 372.

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით . .	10 მ.	1 წლით . .	13 მ.
6 თვით . .	6 „	6 თვით . .	7 „
3 „ . .	3 „	3 „ . .	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით . .	6 მ.	1 წლით . .	9 მ.
6 თვით . .	4 „	6 თვით . .	7 „
1 „ . .	75 კ.	1 „ . .	90 „

ვინც „**მოამბე**“-ს მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატება** და „**ცნობის ფურცელი**“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“**

ექიმი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფილდიროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

გ. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი და ბავშვების 5—6 საათამდე.

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

დამ-ღამობით ექიმების მორიგეობაა, ღამის 9 საათიდან დილის 7 საათამდე. მსურველთ შეუძლიანთ სახლშიაც წაიყვანონ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (0—4)

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“

ს. პ. ქელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—8)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 7 თებერვალს, 1902 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ

ვასო აბაშიძის მონაწილეობით

უპატიოსნონი

დრამა 3 მოქ. როვეტისა, თარგ. გალუსტოვის-მიერ.

და

კრეჩინსკის ქორწილი

კომედია 3 მოქ. სუხოვო-კობილინისა, თარგ. ღულაძისა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი; ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

მზადდება: „მეფე ლირი“, „ორი გმირი“ და „ძალა აღმართსა ხნავს“.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 3 თებერვალს

გუშინ, 2 თებერვალს, ქართლ-კახეთის თავად აზნაურთა დეპუტაცია მიიწვიეს უმაღლეს სადილზე საზამთრო სასახლეში. სუფრის შუაგულს დაბრძანდა ხელმწიფე იმპერატორი დედოფლების შუა. ხელმწიფის პირდაპირ ადგილი ეჭირა სასახლის მინისტრს, რომლის მარჯვნივ იჯდა თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, მარცხნივ გენ. საგინაშვილი. დეპუტაციის გარდა მიწვეულნი იყვნენ შინაგან საქმეთა მინისტრი, ობერ ჰოფმარშალი, ობერ-ცერემონიმეისტერი, ჰოფმეისტერინები და ფრეილინები და მორიგი ამალა. უმაღლეს სადილს დაესწრნენ: დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე უავგუსტოესის შვილებით, დიდი მთავრინები მარიამ გიორგის ასული და ქსენია ალექსანდრეს ასული. სუფრა გაშლილი იყო სულ 47 კაცისათვის. სადილის დროს ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება, აბრძანდა და წარმოსთქვა შემდეგი უმაწყალესი სიტყვები: „**მე ბედნიერი ვარ, რომ კიდევ ერთხელ გხედავთ თქვენ ჩემთან. ხელმწიფე დედოფლებისგან და ჩემგან პირადად გსვამ თქვენ სადღეგრძელოს და გისურვებ წარმატებას ჩვენთვის საყვარელს ქართველ თავად-აზნაურობას**“. სადღეგრძელოს მოჰყვა „მრავალჟამიერ“, რომელიც ორკესტრმა დაუკრა და რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა ფეხზე დგომით მოისმინა. სადილის შემდეგ ხელმწიფე და დედოფლები დიდხანს ესაუბრენ თითოეულს დეპუტატს.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ორი კვირის წინად პალატა მთავრობის კანონ-პროექტის განხილვას შეუდგა. ამ კანონ-პროექტის ძალით პალატის წესდება უნდა შეიცვალოს. ოპოზიციის წინამძღოლმა კემპბელ-ბანერმანმა ურჩია პალატას: ეს მეტის-მეტად მნიშვნელოვანი და რთული კანონ-პროექტია და ამიტომ საჭიროა საგანგებო კომისიას გადავსცეთ განსახილველადაო.

ორატორის აზრით, მთავრობის კანონ-პროექტის ზოგიერთი მუხლი მეტად ცუდადაა შედგენილი და მთელი ეს კანონ-პროექტიც არაა თანაგრძნობის ღირსი, რადგანაც კამათის თავისუფლებას ჰზღუდავსო. ორატორმა სთქვა: „პალატა როდია უბრალო ფაბრიკა კანონების დასამზადებლად გამართული; პალატა მთელი ერის მაგივრად სახელმწიფო საქმეებს ადევნებს თვალ-ყურს“. ამის გარდა, კანონ-პროექტს სიძულვილისა და მტრობის ელფერი ადევს, მართლაც და ეს პროექტი ერთი პარტიის (ირლანდიელების) ჯიბრზეა შედგენილი. მართალია, იმ დეპუტატების წინააღმდეგ, ვინც კი პალატის თავმჯდომარეს არ ემორჩილებიან, მეტი სასჯელი უნდა დაწესდესო, მაგრამ, კემპბელ-ბანერმანის აზრით, მთავრობა ამ საქმეში წრეს გადასულა. დამნაშავე დეპუტატის პალატიდან განდევნა შეიძლება, მაგრამ ის კი რიგი აღარ არის, რომ ამ დეპუტატს მოსთხოვონ, მერე პალატის თავმჯდომარესთანაც ბოდიში მოიხადოს.

ოპოზიციის წინამძღოლის შემდეგ ირლანდიელების მეთაურმა ჯონ რედმონდმა ილაპარაკა. ორატორის სიტყვით, პალატის მოქმედებას აუარებელი საქმეები უშლის ხელსა და არა ცუდი წესდებაო. ეხლა პალატა ყელამდეა საქმეებით სავსე და აგი ვერც ასდის ამ საქმეებსაო. პალატა ეხლა უბრალო მანქანაა და მხოლოდ მინისტრების ბრძანებას ასრულებს. ამიტომ წესდების შეცვლა საქმეს ვერ უშველის. უსათუოდ საჭიროა ადგილობრივი კანონ-მდებელი კრებები დავაწესოთ და საიმპერიო პარლამენტის დიდ-ძალი საქმეების ნაწილი ამ კრებებს გადავსცეთ. ურჩი დეპუტატების დასჯის თაობაზე რედმონდმა სთქვა: ცხადია, ეს სასჯელები ირლანდიელებისათვისაა დაწესებული, მაგრამ მთავრობას ტყუილად ექნება იმედი, რომ ამ სასჯელებით ირლანდიელ დეპუტატებს თავიანთ მოვალეობის ასრულება დაუშალოსო.

ამის შემდეგ კამათი მეორე დღისათვის გადაიდვა. მეორე დღესაც გაცხარებული კამათი მოხდა. ბევრმა ორატორმა ილაპარაკა, სხვათა შორის, ილაპარაკეს ჰარკორტმა, დილონმა, ბალფურმა და სხვებმა. ორატორების უმეტესობამ არ მოიწონა კანონ-პროექტის ის მუხლი, სადაც სწერია, რომ პალატიდან დროებით განდევნილი დეპუტატი პალატაში ვერ დაბრუნდება, სანამ პალატის თავმჯდომარესთან ბოდიშს არ მოიხდისო. ამის თაობაზე ყველაზე საინტერესო სიტყვა კონსერვატორ დეპუტატს ჰიბსონ ბოულსს წარმოეთქვა (ესეც კანონ-პროექტის წინააღმდეგი გამოდარიყო). ჩემბერლენი ბილის (კანონ-პროექტის) ხსენებულ მუხლს გამოესარჩლა და სთქვა: ყველა, ვინც თავის-თავს ჯენტლმენად (რიგიან, ზრდილობიან კაცად) სთვლის, მოვალეა, ბოდიში მოიხადოს, როცა სტყუისო. ამის პასუხად ბოულსმა სთქვა: „ინგლისის მეფე გეორგ IV პირველი ჯენტლმენი იყო მთელს ევროპაში. კოლონიების ესლანდელი მინისტრი, აბა რაღა ჩიჩინი უნდა. პირველი ჯენტლმენია ბირმინჰამში (იცინიან). მაგრამ ეს მინისტრი ბოდიშს იხდის განა, როცა მეტად მკაცრი სიტყვა წამოსცდება ხოლმე? სრულებითაც არა. მინისტრი ასეთ პასუხს იძლევა ხოლმე: რაც მითქვამს, მითქვამს. მზადა ვარ კიდევაც გავიმეორო ჩემი ნათქვამიო.“

ბოლოს კემპბელ-ბანერმანის წინადადებას კენჭი უყარეს და პალატამ 250 ხმით 160 წინააღმდეგ უარ-ჰყო ეს წინადადება. ამ წინადადებას, ლიბერალებისა და ირლანდიელების გარდა, სამი კონსერვატორიც მიემხრო; ჰიბსონ ბოულსიც ამათში ერია.

„ტაიმს“-ს შეუტყვია, მთავრობას განზრახვა აქვს, „ბოდიშის“ მუხლი ამოშალოს ბილიდანაო.

✡ „პალ მალ გაზეთ“-ი იტყობინება, რომ ირლანდიაში მამულების თაობაზე აგიტაცია არა სცხრებაო.

„როსკომონის საგრაფოში შეიარაღებული ირლანდიელები ჯგუფ-ჯგუფად ღამით მიდიან იმ ფერმერებთან, ვინც კი ლენდ-ლორდებს მამულის იჯარას აძლევს და მუქარას უთვლიანო. ორიოდე დღის წინად 300 კაცს ლორდ დე ფრეინის მოურავის ცემა დაეპირებინათ. მოურავს ძლივს დააღწია თავი. თითქმის ყოველ ღამ კრებებს ახდენენ და ორატორები ცხარე-ცხარე სიტყვებით ხალხს აღელვებენ. პარლამენტის წევრს ო'დონელს ამ დღეებში ეთქვა ხალხისათვის: „მთავრობამ ირლანდიაში პოლიცია გააძლიერა, ამით ჩვენ პირდაპირ ომში გამოგვიცხადეს. კარგი და პატიოსანი. ლე უინდჰემმა (ირლანდიის საქმეთა მინისტრმა) სცადოს: აბა, გვაჯობებს თავისი 5 ან 10 ათასი ჯარის კაცის შემწეობით? თავდებად ვსდგები, რომ ერთი თვის შემდეგ კონაუტელები (კონაუტის საგრაფოს მცხოვრებელი ირლანდიელები) უფრო მეტს ჯარსაც შეაგროვებენ და ამ ჯარის შემწეობით ადგილ-მამულის საქმეს გადასწყვეტენ“.

„პალ მალ გაზეთ“-ს ისიც შეუტყვია, რომ მთავრობა ძლიერ შეაწუხეს ამ ამბებმაო. ჰფიქრობენ, რომ დუბლინიდან (ირლანდიის უმთავრესი ქალაქია) მოხელეებს ახალი ბძანება მოუვათ და პოლიციას გააძლიერებენო.

✡ მუშათა ტრედ-უნიონების კონგრესის საპარლამენტო კომიტეტის დეპუტაცია შინაგან საქმეთა მინისტრ რიჩთან და ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრ ჯერალდ ბალფურთან მივიდა და კონგრესის ზოგიერთი რეზოლიუცია გადასცა. ჯერალდ ბალფური დაჰპირდათ, ტრედ-უნიონების მოთხოვნებს გავსინჯავო.

✡ გაზეთ „ნოვოსტი“-ს ლონდონიდან სწერენ:

„თუ ვინიცობაა ომი ზაფხულამდე არ გათავდა, ედუარდ VII-ეს გვირგვინის კურთხევა გადაიდება.“

საფრანგეთი. ამას წინად პალატაში ერთი უცნაური ამბავი მომხდარა. ამ ამბავმა ძლიერ შეაშინა თურმე დეპუტატები. პალატა კოლონიების სამინისტროს ბიუჯეტს არჩევდა; დეპუტატები ადმირალი რენიეს ლაპარაკს უგდებდნენ ყურსა, ამ დროს ერთმა დედაკაცმა გალერეაში ყვირილი დაიწყო: „ქურდი! გამქურდეს! ქურდი!“ ამავე დროს დედაკაცმა პალატის დარბაზში რაღაცა შეკრული პაკეტი გადააგდო. პაკეტი დეპუტატს პასკალს მოჰხვდა თავში. პაკეტში ყუთი კვერცხები დებულიყო. კვერცხები დაიმტვრა და ვინც ახლო დეპუტატი იდგა, გასვარა. დარაჯები მოცვინდნენ, იატაკი და მაგიდები გაწმინდეს. ადმირალმა რენიემაც ლაპარაკი განაგრძო. დამნაშავე დედაკაცი გალერეიდან ძირს ჩამოიყვანეს. დედაკაცმა თავისი სახელი არ გამოაცხადა. ყველაფრიდან სჩანდა, რომ სწორე ჭკუისა არ იყო; ამიტომ პალატიდან გაიყვანეს და სახლში გაუშვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. გაზ. „ტ. ნ“-ის რომაელი კორესპონდენტი იუწყება: როცა პარლამენტის სესია გაიხსნება, მეფე სეფე-სიტყვაში სხვათა შორის გამოაცხადებს, რომ მარილის ბაჟს 25 პროცენტი მოაკლდებაო. ამ დაკლებით 16 მილიონი ფრანკი დააკლდება ხაზინას, მაგრამ იტალიის შემოსავალი წელს 30—40 მილიონით სჭარბობს გასავალს, ამიტომ ამ ბაჟის დაკლების შემდეგაც შემოსავალი კიდევ გასავალზე მეტი იქნება.

შეერთებული შტატები. გერმანიის იმპერატორის ძმა პრინცი ჰენრიხი შეერთებულ შტატებში მიდის. გაზეთები ბევრსა სწერენ იმის თაობაზე, თუ რისთვის მიდის პრინცი ჰენრიხი, რა დიპლომატიური საგანი აქვს პრინცის მოგზაურობას. ზოგმა, მაგალითად, ის აზრი გამოსთქვა, ვითომ გერმანია ფილიპეს კუნძულებს ჰყიდულობდეს შეერთებული შტატებისაგანაო. მაგრამ ინგლ. გაზ. „მანჩესტერ გვარდიან“-ის ამერიკელი კორესპონდენტი სწერს ეხლა: ევროპიულ გაზეთებში პრინცის მოგზაურობის თაობაზე ტყუილის მეტი არა დაწერილა რაო. კორესპონდენტი ამბობს:

„სარწმუნო კაცები ამტკიცებენ, თუნდაც რომ პრინცს რაიმე საგანგებო ეპისტოლე მოჰქონდეს, ანუ რაიმე საქმე ჰქონდეს მინდობილი, ამერიკის მთავრობამ მაინც არა იცის რა ამის თაობაზე და და არცარას ელის ამისთანას. პრეზიდენტს შეატყობინეს, ვილჰელმ II იმიტომ ჰგზავნის პრინც ჰენრიხსა, რომ შეერთებულ შტატებს თავისი მეგობრობა დაანახვოს და ოფიციალურად დაამტკიცოს, რომ გერმანიის რაიმე ადგილების დაჭერა სამხრეთ-აფრიკაში გუნებაში არ უდევს და ერთის სიტყვით გერმანია სრულებითაც არა ჰფიქრობს მონროეს დოქტრინის დარღვევასაო“.

✿ ფილიპეს კუნძულების გუბერნატორმა ტაფტმა გამოაცხადა სენატის კომისიაში: თუ გინდათ, რომ კუნძულებზე წესიერება აღადგინოთ, თავდაპირველად ბერებს უნდა ჩამოართვათ მამულებიო.

სამხრეთ-აფრიკა. „პარი ნუველ“-ს სწერენ ჰოლანდიიდან:

„ჰოლანდიელი გაზეთების აზრით, ინგლისი ეცდება ჰოლანდიის მინისტრის დოქტორ კოიპერის ნოტა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, თანაც ისე, რომ ინგლისს იოტის ოდენაც არა დააკლდეს რაო. მინისტრმა ბალფურმა გამოაცხადა პალატაში, რომ ჰოლანდიის ნოტის პირი ბურების სარდლებს გაეგზავნებათ სამხრეთ-აფრიკაშიო. ამით ინგლისს სწადიან, რომ ევროპაში მყოფი ბურების წარმომადგენლები მოლაპარაკების საქმეში აღარ გარიოს, რადგანაც სამხრეთ-აფრიკელ სარდლებს მალე ყველაფერი ეცოდინებათ, რაცკი მოხდა. ინგლისის მთავრობას როგორც ეტყობა, ის უდევს გუნებაში, რომ ჰოლანდიის ნოტის შემწეობით ბურებს ძალა დაატანოს და ზავზე მოლაპარაკება გაამართვინოს. ინგლისს ფიქრად ისა აქვს, რომ ამ ნოტით ბურებს გული გაუტეხოს: ნახეთ თქვენი ერთგული ჰოლანდიის მთავრობასაც კი შეუძლებლად მიაჩნია რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღდგენაო. თუ ინგლისის მთავრობას ესეთი აზრი უდევს გუნებაში, მაშ, სჩანს, ამ მთავრობას სრულებით ვერ შეუგნია ბურების ხასიათი და არც თუ საქმის ეხლანდელი ვითარება სცოდნია. სამხრეთ-აფრიკაში ეხლა საქმე ისე მიდის, რომ ბურებს ნამდვილი გამარჯვების იმედი აქვთ.

✿ ჰააგიდან (ჰოლანდიიდან) იწერებიან:

„არც ერთ ამბავს ისე არ შეუზარავს ჩვენი საზოგადოება, როგორც ახალგაზრდა მამაცი სარდალი შეფერსის დასჯამ შეჰზარა. ყველას გული მოუკლა ამ უღვთო, საშინელმა სასჯელმა. შეფერსის თოფით დახვრეტამ ისე იმოქმედა ყველაზე, რომ ჩვენმა მთავრობამაც კი ვეღარ მოითმინა, გაბედა და ინგლისს ნოტა გაუგზავნა შერიგების თაობაზე. ეხლა ჩვენში ყველა იმას ჰკითხულობს: ნუ თუ მეორე ნიჭიერ სარდალს კრიუცინგერსაც ეგრე უღირსად მოექცევიან და სასიკვდილოდ გაიმეტებენო?“

ესპანია. მთავრობის მომხრე გაზეთებმა გამოაცხადეს, ვითომ მუშები სრულებით დამშვიდნენ ესპანიაში. მაგრამ ფრანგულ გაზეთებს ბარცელონიდან სწერენ, რომ ესპანიელი მუშები ნამდვილად სულაც არა ჰფიქრობენ დამშვიდებას და ბრძოლაზე ხელის აღებასაო. ფრანგულ გაზეთებს ატყობინებენ:

„ამ დღეებში ბარცელონაში მუშებმა სამგან კრება მოახდინეს და გადასწყვიტეს გაფიცვები განაგრძონო. ყველაზე მეტი ხალხი კალატოზების კრებას დაესწრო. ამ კრებაზე ერთმა ორატორმა ურჩია კალატოზებს, სახლის ქირას ნუღარ გადაიხდით და ეს ფული სახლის პატრონების მაგივრად გაფიცულ მუშებს აძლიეთო. მეორე ორატორმა სთქვა: „თუ გინდათ, რომ ნამდვილად გაიმარჯვოთ და კაპიტალისტებს თქვენი თხოვნები შეასრულებინოთ—ამისათვის სამუდამო გაფიცვა უნდა მოახდინოთო.

მუშების მრავალი კომისია ქუჩა-ქუჩა ფულს აგროვებს გაფიცული მუშების სასარგებლოდ და ბურჟუათაგანიც კი ბევრი აძლევს ფულსა.“

ავსტრ-უნგრეთი. ავსტრიის რეიხსრატმა მოქმედება დაიწყო და ისე მარდად მუშაობს, რომ არც კი არავინ მოელოდა ასეთ სიმარდეს. კერძოდ მსხვილი გერმანელი მემამულეების შემწეობით უფრო ძლიერ დაუახლოვდა გერმანელთა პარტიებს და იმედი აქვს, რომ იმათი დახმარებით შუა მარტამდე სულ მიაღებინოს ბიუჯეტი რეიხსრატს. ჯერ-ჯერობით რეიხსრატი ჯარის თაობაზე შედგენილ კანონ-პროექტს იხილავს. პოლონელმა სოციალ-დემოკრატსა დაშინსკიმ ისარგებლა ამით და მატაშიჩის ასადღებელ საქმეზე ჩამოაგდო ლაპარაკი. მატაშიჩს დააბრალეს, ვითომ კობურგის პრინცესა ლუიზას სახელობაზე ყალბი ვექსილები შეადგინა; ეს საქმე სამხედრო სასამართლომ გაარჩია და მატაშიჩი დამნაშავედ იცნო. დაშინსკიმ ეს საქმე დაწვრილებით უამბო რეიხსრატს, ისე როგორც „არბაიტერ ცაიტუნგ“-ში (მუშების გაზეთში) იყო აწერილი. ბოლოს მოითხოვა, რომ სამხედრო სასამართლოს წესები, რაც შეიძლება, მალე შეიცვალოსო. სხვა ორატორებმაც მოითხოვეს ამ წესების შეცვლა.

✿ რუსინმა სტუდენტებმა, როგორც იცით, გამოაცხადეს, სანამ ჩვენ თხოვნას არ შეასრულებენ, ლვოვის უნივერსიტეტში არ ვისწავლითო. და მართლაც მიატოვეს ეს უნივერსიტეტი. ამ სტუდენტების სასარგებლოდ გალიციაში 50,000 კრონა შეუკრებიათ.

ჩინეთი. „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი იწერება პეკინიდან, რომ ინგლისისა და იაპონიის ელჩები ხუთშაბათს პრინც ცინთან მივიდნენ და დაეკითხნენ: როგორაა ეხლა მანჯურიის საქმეო. ამას გარდა ელჩებმა პროტესტი გამოუცხადეს ცინს, რომ ჩინეთს არა აქვს უფლება მანჯურია ერთს რომელსამე სახელმწიფოს დაუთმოსო. გერმანია ამ საქმეს შორიდან უყურებს, თითქო ამბობდეს: აქ ჩემი არა იწვის რაო. შეერთებულ შტატებს კი იაპონიისა და ინგლისის პირი უჭირავს. ეს ქვეყანაც ძლიერ მოწინააღმდეგეა, რომ მანჯურიის თაობაზე რუსეთთან რაიმე ხელშეკრულობა დაიწეროს, რადგანაც ასეთი ხელშეკრულობა ამერიკის ინტერესებს დიდს ზარალს მოუტანს.

იმავე სააგენტოს სწერენ ვაშინგტონიდან:

„გარეშე საქმეთა სამინისტრომ მკაფიოდ გააგებინა რუსეთს, რომ შეერთებული შტატები არას დროს არ გაუშვებენ ხელიდან იმ საქმეებს, რაც კი მანჯურიაში ხელთ უჭირავთ. თუ მანჯურიის ნავთ-სადგურები რუსეთს გარდა სხვა სახელმწიფოებისათვის სამუდამოთ არ დაიკეტა, ეს სულ ამერიკის მთავრობის უნარია. შეერთებულმა შტატებმა გაბედვით და მოურიდებლად მოითხოვეს, რომ მთელი ჩინეთის „კარი ყველასთვის ღია“ იყოსო. ამერიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებს ამ საქმის თაობაზე მტკიცე განსაზღვრული ინსტრუქციები აქვთ მიცემული. ამათის აზრით, მადნებისა და რკინის გზების კონცესიებს მაგდენი მნიშვნელობა როდი აქვს, სიტყვა „ღია კარების“ პოლიტიკა არისო“.

ახალი ამბავი

◆ გზათა სამინისტრომ ნება დართო ამიერ-კავკასიის რკინის გზების მმართველობას, რომ მიხაილოვო-ყვირილას შუა **მეორე ლიანდაგის გაყვანის** გამოკვლევა მოახდინოს. გამოკვლევა უნდა მოხდეს ამ წელს.

◆ როგორც შევიტყეთ, გზათა სამინისტროს განკარგულებით, ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსად, ველენეევის ნაცვლად დაინიშნა სიზრან-რიაზანის რკინის გზის უფროსი ბ-ნი **ივანიცკი.**

◆ 1 თებერვალს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ რუსეთის გემოჩენილის მწერლის ნ. ვ. **გოგოლის სახელის** პატივსაცემლად გარდასწყვიტა—დააარსოს გოგოლის სახელობის ორი სტიპენდია, თითო 480 მანეთიანი მოსკოვის სამიწად-მოქმედო აკადემიასა და სამთო ინსტიტუტში. აღნიშნული სტიპენდიები უნდა მიეცეს ტფილისის მცხოვრებთა იმ შვილებს, რომელნიც ტფილისის რეალურ სასწავლებელში დაასრულებენ სწავლას. ამასთანავე გამგეობამ გარდასწყვიტა, ვიდრე ამ საკითხს საბჭოს წარუდგენდეს, სთხოვოს საფინანსო კომისიას ამაზე თავისი აზრი გამოსთქვას.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის გარდაწყვეტილებით, გადადებულ იქნება 300 მ., რომლითაც ქალაქის სკოლების მოსწავლეთა დასარიგებლად უნდა შეიძინონ ნ. ვ. **გოგოლის** ნაწერებიდან პატარა წიგნაკები და სურათები.

◆ დღეს, 5 იანვარს, ქალაქის გამგეობის სადგომში, გამგეობის წევრის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით შესდგება ტფილისის **სანიტარო-სამკურნალო** აღმასრულებელ კომისიის სხდომა სხვა-და-სხვა საკითხების განსახილველად და გადასაწყვეტად.

◆ ფინანსთა სამინისტრომ დაავალა კავკასიაში სახელმწიფო პალატებს, რომ გადასახადთა ინსპექტორებს მოსთხოვონ ცნობები, რამდენი **ფაბრიკა-ქარხნებია** ამ ჟამად კავკასიაში, რა მდგომარეობაში იმყოფებიან და რამდენი წლიური შემოსავალი აქვთ.

◆ შაბათს, 2 თებერვალს, ტფილისის საბრეშუმო სადგურის დარბაზში სხდომა ჰქონდათ ტფილისის საბაღოსნო საზოგადოების წევრთ იმ წესების შესამუშავებლად, თუ როგორ ისარგებლონ კავკასიის მცხოვრებლებმა ვენახებისა და ძვირფას მცენარეთა დასაზღვევად მოსკოვის საურთიერთო **სეტყვისაგან დამზღვევ საზოგადოების** თანხით. რამდენიმე ხნის წინად ამავე საგანზე ჰქონიათ მოლაპარაკება კახეთის მემამულეთა და აღნიშნულ საზოგადოების წარმომადგენელს; თუმცა მემამულენი დასთანხმებიან ხსენებულ წარმომადგენელს, ვისარგებლებთ აღნიშნულ საზოგადოების თანხითაო, მაგრამ ვეღარ მოხერხებულა ამ თანხმობის განხორციელება სხვა-და სხვა მიზეზების გამო. კრებაზედ მოსკოვის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი მოვიდა ამ მიზეზების გასაგებად და მზადაა მოელაპარაკოს ადგილობრივ მემამულეთ და შეღავათიანის პირობებით მისცეს მათ საშუალება დააზღვევონ მამულები. ზოგიერთმა წევრებმა ამაზე გამოსთქვეს, რომ საბაღოსნო საზოგადოებას ამ საკითხზე გარდაწყვეტით არ შეუძლიან სთქვას რამე, რადგანაც ეს საქმე პირდაპირ მემამულეებს შეეხება, და ამიტომ უკეთესი იქნება წარმომადგენელი თვით მემამულეებს მოელაპარაკოს. კარგა ხნის მოლაპარაკების შემდეგ გამოითქვა სურვილი, რომ აღნიშნულ საქმის შესახებ მოხსენება წარედგინოს განსახილველად 24 თებერვალს გორის მემამულეთა სინდიკატის საზოგადო კრებას; ამნაირივე მოხსენება უნდა წარედგინოს კახეთისა, ზაქათალისა და სხვა კუთხის მემამულეებს, მხოლოდ ისეთი დროს შერჩევით, რომ მეტმა ადგილობრივმა მცხოვრებმა მიიღოს ამ საქმის განხილვაში მონაწილეობა. წარმომადგენლის სურვილის თანახმად, სეტყვისაგან საურთიერთო დამზღვევ მოსკოვის საზოგადოების აგენტად ტფილისში დაინიშნა საბაღოსნო საზოგადოების მდივანი ი. გ. ქუთათელაძე.

◆ როგორც უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, **გორის მემამულეთა** სინდიკატის წლიური კრება მოხდება 24 ამ თვეს. კრებაზე, სხვათა შორის, განხილულ იქმნება ზედამხედველი კომიტეტის მოხსენება იმის შესახებ, თუ რა საშუალებით შეიძლება სინდიკატის დაქვეითებულ საქმეების გამოკეთება.

◆ 27 თებერვლისათვის დანიშნულია კავკასიის **სასოფლო-სამეურნეო** საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც განსაკუთრებით უნდა განიხილონ ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის 1901 წლის მოღვაწეობის ანგარიში.

◆ კვირას, 3 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში, ა. ლ. კაზლოვის თავმჯდომარეობით შესდგა საზოგადო **კრება გადამწერთა** საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წევრთა. პირველად ამორჩეულ იქმნენ საზოგადოების „თანამგრძნობ წევრებად“ ქალაქის მოურავის მოადგილე მ. ს. შესტაკოვი, თავ. გრ. ნ. დიასამიძე, ევგ. დ. ვურცელი, ა. მ. ვოიცეხოვსკი და გ. მ. წურინოვი. ნამდვილ წევრებად ამორჩეულ იქმნა 20 კაცი. შემდეგ საზოგადოებამ დაამტკიცა წესი, თუ როგორ სწარმოებდეს საზოგადოების ანგარიში და წიგნები კასისა და სხვ. და გარდასწყვიტა, რომ საზოგადოების ფულები ინახებოდეს სახელმწიფო ბანკის ტფ. განყოფილების შემნახველ კასაში, ასე რომ საზოგადოების კასაში 50 მან. მეტი არ ინახებოდეს. დასასრულ, მცირე კამათის შემდეგ, საზოგადოების კრებამ, ხმის უმეტესობით, გარდასწყვიტა ნება მიეცეს საზოგადოების გამგეობას, ხელწერილით შეეკრას სხვა-და-სხვა მაღაზიების პატრონებს, რომ საჭირო სანოვაგესა თუ სხვა რამ ნივთებს ნაკლებ ფასად უთმობდნენ აღნიშნულ საზოგადოების წევრთ.

◆ ბათუმიდან გვწერენ: „გამოძიება იმ **ინცინდენტის** შესახებ, რომელიც მოხდა ბათუმის საბჭოს დარბაზში შარშან, ივნისის 25-ს, უკვე დასრულდა; ყველა ხმოსნებს ჩამოერთვა ჩვენება და დასრულებული გამოძიება წარედგინა პროკურორის აქაურ თანაშემწეს. საქმე სულ მოკლე ხანში გათავდება, უეჭველია მისი მოსპობით“.

◆ კვირის **ქართული წარმოდგენა** მშვენიერი იყო: ორივე პიესა („პედაგოგები“ და „ავადმყოფი ხალხი“) საკვირველის სიმწყობრით შეასრულეს. რადგანაც ეს პიესები მეორეთ წარმოადგინეს ამ სეზონში, ამიტომ ეხლა ვრცელ რეცენზიას არ ვსწერთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ გუნია უკეთესი პრელი იყო, ვიდრე პირველ წარმოდგენაში და ლეჟავას თამაშიც (იდას როლი „ავადმყოფში“(უფრო ცოცხალი და ბუნებრივი. შათირიშვილიცა და ტასო აბაშიძეც მეტის გატაცებით თამაშობდნენ, განსაკუთრებით შათირიშვილი. მხოლოდ მოსწავლეების პატარა როლის აღმსრულებელნი სუსტობდნენ. რატომ ქ. მდივანი არ ასრულებდა მოსწავლის როლს, როცა იგი აფიშაში იყო გამოცხადებული?

◆ შაბათს, 2 თებერვალს, ქართული **სახალხო სცენის** მოყვარეებმა სახალხო წარმოდგენების სადგომში წარმოადგინეს ალ. ყაზბეგის სამ-მოქმედებიანი დრამა „არსენა“. წარმოდგენას ჩვეულებრივ მრავალი ხალხი დაესწრო.

◆ ტფილისში ცნობილი არქეოლოგი ერიცოვი **მძიმედ ავად გახდა.**

◆ ამ დღეებში მოხსენებული გვქონდა, რომ ტფილისის რკინის გზის სადგურზე არტელშჩიკი გაქურდეს და ერთი მცარცველთაგანიც მოჰკლეს. მოკლული დღემდის ქალაქის საანატომიო თეატრში ასვენია და მრავალი ხალხი მიდის სანახავად, რომ გამოიკვლიონ იმის ვინაობა, მაგრამ დღემდის **ვერავინ ვერ იცნო,** ვინ არის და სადაური.

◆ სატყეო დეპარტამენტმა ცირკულიარით მიჰმართა თავის ხელქვეით დაწესებულებათ კავკასიაში, დიდი ყურადღება მიაქციონ სახელმწიფო **ტყეების გაწმენდას,** დამპალი, უვარგისი ხეებისა და კუნძებისაგან გასუფთავებას. ამასთანავე დეპარტამენტი ატყობინებს, რომ ამ საქმისთვის საჭირო ფული მიეცემათ, უკეთუ შუამდგომლობას აღძრავენ.

◆ როგორც ნათქვამი გვქონდა, 7 თებერვალს ქუთაისში სამხედრო ოლქის სასამართლოს სესია გაარჩევს ავაზაკ ლორთქიფანიძის და სხვა ავაზაკთა ბრბოს საქმეს. ბრალდებულთ დაიცავენ ვექილები ბ.ბ. ფაღავა, ქიქოძე და საყვარელიძე. რამდენიმე ბრალდებულთ თხოვნა მიურთმევიათ კავკასიის სამხედრო ოლქის სასამარლოსთვის, რომ ისინი **გაასამართლონ სამოქალაქო წესით.**

◆ ტფილისის კომერციულ სასწავლებლის სამზრუნველო საბჭომ გამოსცა **საოჯახო ანგარიში** სასწავლებლის გახსნიდან— 12 ივნისს 1899 წ. 18 სექტემბრამდე 1901 წლისა. ამასთანავე გამოიცა ამავე სასწავლებლის დირექტორის ანგარიში და მასალა კომერციული სასწავლებლის გახსნის ისტორიისა 1845 წელს. ეს ანგარიშები სამზრუნველო საბჭომ უნდა წარუდგინოს ფინანსთა სამინისტროს და ტფილისის ვაჭართა საზოგადოებას.

◆ ქალაქის ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიის თავმჯდომარემ მიმართა ამავე ცხენის რკინის გზის დირექტორს, ბ. რაგოლერს, წარმოადგინოს **დადგენილება** ერთი ვაგონიდან მეორე ვაგონში გადასასვლელ ბილეთების შესახებ, რაც ყოველთვის უთანხმოებას და უსიამოვნებას იწვევს საზოგადოებასა და გზის მოსამსახურეებს შორის. ესევე თავმჯდომარე სთხოვს უსახელო საზოგადოების წარმომადგენელთ, რომ სამი დღის განმავლობაში შეკეთებულ იქმნეს ოღრო-ჩოღრო გზები, მეტადრე რიყის გზა, სადაც ეტლებისთვის შეუძლებელი ხდება სიარული.

◆ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ ანგარიში იმ წარმოდგენისა, რომელიც 23 იან-

[illegible]ყო გამართული ცირკში **ქალაქის ნა[illegible]ელთა ღარიბ შეგირდების** დამხარე[illegible]ზოგადოების **სასარგებლოდ**. ბილე[illegible]აყიდვიდან შემოვიდა 1097 მან. [illegible] პრემიები—276 მან. 25 კაპ., აქე[illegible]ანთაშევისაგან—93 მან. 60 კაპ., [illegible]ოვისაგან—22 მ. 90 კ., ლ. ევან[illegible]ან—15 მ., კნ. ე. ერისთავისაგან [illegible] ყორღანოვისაგან—8 მ. 60 კ., დ. ხარა[illegible]ან—8 მან. 60 კაპ., მ. ავთანდილ[illegible]ნ—8 მ. 60 კ., მ. არამიანცისაგან-[illegible]. 90 კაპ., ეგიაზაროვის მეულლისა[illegible] მ. 80 კ., ქ-ნ მარტიროსიანცისა[illegible] მ., ტერ-ოსეფიანცისაგან—5 მან. [illegible]მთელი შემოსავალი სულ—1373 მა[illegible]კაპ. ხარჯი: ცირკს მიეცა—400 მანეთი—67 მ. 50 კ., წვრილმანი—10 [illegible]ულ—477 მ. 50 კ. წმინდა შემოსავრდაეცა საზოგადოების კასას—896 [illegible] კ. საზოგადოების გამგე კომიტეტი რაცხს გამოუცხადოს გულითადი მა[illegible] იმ პირთ, ვინც პრემიები შემოსწ[illegible] რედაქციებს, რომელთაც თანაგრძმენიშვნები დაბეჭდეს თავიანთ გაზეთებსოგადოების მოღვაწეობაზე; აგრეთვე იმათ, ვინც 23 იანვრის წარმოდაესწრო.

[illegible] მაზრის სოფ. ქორთის მცხოვრები [illegible]უხის გებაში იქმნა მიცემული იმ-[illegible]ს ბრალად ედება ა. ა—ს პატარა ქა[illegible]ურების განზრახვა.

[illegible] თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ბაზ[illegible], «იუენი ნომრების» გვერდით ცეცხ[illegible]ერის წიგნების ყდის მკეთებელ სახე[illegible]ლოსნოს დიდი დარბაზი სავსე ყოფილა ნაჭრებით, რომელსაც მოსდებია ცეცხ[illegible]რად, ცეცხლის გაჩენა მალე შეიტყო ტ[illegible]ხლის მქრობელმა რაზმმა და მალევე ჩა[illegible]ს პატრონს საგრძნობელი ზარალი არ მო[illegible]

[illegible]2 თებერვალს, პოლიციის მე-4 ნაწილ[illegible]უარსაბ როსტომის ძე ბექთაპეგოვმა გან[illegible]ებერვალს ჩემს სახლში აღმოვაჩინე, რო[illegible]ოტ-განზრახველს მოუპარავს ბრილ[illegible]ა და ოქროს საათი ოქროსავე ძეწკვი[illegible]ღირებული. ბეგთაბეგოვმა ეჭვი განაც[illegible]მსახურ, შორაპნის მაზრის სოფელ ნიგ[illegible]ვრებზე სანდრო წერეთელზე, რომე[illegible]ეუტყვია ეს ამბავი, მაშინვე სა[illegible] წერეთელს თან გაუყოლებია 5 მა[illegible]მისთვის დასახურდავებლად გარდამახერ[illegible] სწარმოებს.

[illegible] პოლიციის მე-2 ნაწილში იასონ ნათაძემ გა[illegible]და, რომ მისი ბინიდან ვიღაცამ მოიპარა [illegible]ვდლის ივანე ჩიტაძის ორი პალტო 100 მან. ღი[illegible]ებული. ქურდობაში ეჭვი მიიტანეს ქუთაისის მცხო[illegible]ებ გიორგი ჯაოშვილზე, რომელიც პოლიციამ კიდეც დააპატიმრა.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ქალაქის გამგეობას დანიშნოს თავის მხრით რწმუნებული, რომელმაც პოლიციასთან ერთად უნდა დაა[illegible]ვალიეროს ქალაქში მომუშავე დროგები და ურ[illegible]ები.

◆ განჯის მცხოვრებს ალექსანდრე გალუმოვს, [illegible] თებერვალს, პოლიციის მე-7 ნაწილში მცხოვრე[illegible]ს პეტრუზ კაზაროვისათვის მოუპარავს 71 მან. [illegible]რებული სხვა-და-სხვა ნივთები. გალუმოვი პოლი[illegible]ამ დააპატიმრა.

◆ ამ დღეებში ტფილისის გამგეობას განცხადე[illegible] წარუდგინა ვინმე ვაჭარმა ნიკოლოზ ლისნიგერმა, [illegible]მ მას დართონ ნება იჯარით მოუტანოს გამგეო[illegible] გელათის მაგარი ქვა ქალაქის ქუჩების მოსა[illegible]ყლავად.

შემახაში მომხდარი უბედურება

[illegible]ჯერაც არ არის დაწვრილებითი ამბები [illegible]მ საშინელის მიწის ძვრის გამო, რომელმაც [illegible]თელი ქალაქი დააქცია. დეპეშებიდან ვი[illegible]ით, რომ თითქმის მთელი ქალაქი დაინ[illegible]ა.

შემახა შესდგება ორ ნაწილიდან: ზემო-[illegible]ლაქი, გაშენებული მთაზე, ქვემო-ქალაქი [illegible]ცემულ ველზე. ზემო ნაწილი უფრო [illegible]მხებით იყო დასახლებული, ქვემო—თათ[illegible]ებით; ამ წამო[illegible]ათას სულამდე მცხოვრები [illegible]ითვლებოდ[illegible] მხოლოდ რამდენიმე [illegible] სახლი [illegible] ქვემო კი სულ დაქ[illegible]ეულია. [illegible] შედეგების შესახებ [illegible] ცემს ის ორიოდე [illegible] აქვს სა[illegible]ს თხოვ[illegible]ის მივიდნენ იქ. [illegible]სა და დარიგებ[illegible]ლი საქმწერება „კავკაზ"-ის [illegible]რაოტები—მორ[illegible] და ამ[illegible]არის ახლა მივედი [illegible]ათვის უფასოდ [illegible] მეურნეო[illegible]მოსადგენია ასეთი [illegible]ქიმების მორიგ[illegible] 1200 მ[illegible]გან ტირილი და [illegible] საათამდე. მცველ[illegible] პი[illegible] შეხვდებით დე[illegible]იყვანენ. [illegible]ვის განმავლბს დაეძებენ. საჭი[illegible]ქუჩ[illegible]გამგეობას 1[illegible]აგე. დიდის სიხა-[illegible]

[illegible]რულით მიეგებნენ ამბავს, რომ ტფილისიდან ჯარს გზავნიან ნანგრევების გასათხრელად. ამბობენ, რომ გუშინ 12 კაცი ცოცხალი აღმოჩნდა ნანგრევებ ქვეშ. მიწის რყევა ჯერაც არ შეწყვეტილა.

„ნოვ. ობოზრ."-ს სწერენ იქიდანვე: „ძნელია აიწეროს ის საშინელება და უბედურება, რომელიც ეწვია შემახას! აღიგავა დედამიწის ზურგიდან მთელი ქალაქი, რომელშიაც აქამდე სიცოცხლე დუღდა და გადმოდუღდა. ქალაქის ქვედა ნაწილში ქვა ქვაზე არ დარჩენილა. მაჰმადიანთა მეჩითი, აგებული მე-X საუკუნეში, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ბევრგვარ უბედურებას გადარჩა, ახლა მხოლოდ ნანგრევების გროვას წარმოადგენს. აქ მდგომი შემახიის პოლკი, უფროსის გლინსკის მეთაურობით, დახმარებას უჩენს მცხოვრებთ. განსაკუთრებული რაზმები თხრიან ნანგრევებს, მაგრამ მათ მოქმედებას ხელს უშლის განუწყვეტელი მიწის ძვრა. ბევრი უსულო გვამი ამოთხარეს; არის რამდენიმე ცოცხალიც, რომელნიც სწორედ სასწაულით გადურჩნენ სიკვდილს. მძიმე სურათს წარმოადგენენ აბანოების ნანგრევები, საიდანაც ბევრი ქალი და ბავში ამოიღეს. ქალაქში ცხოვრება სრულიად მიდუმდა. არც პურია, არც სხვა სანოვაგე. მცხოვრებნი ისე შეშინებულნი არიან, რომ ქალაქში დარჩენა იმათაც არ უნდათ, რომელთა სახლები დანგრევას გადარჩა. საჭიროა დახმარება, თორემ შეიძლება შიმშილისაგან და სიცივისაგან რამე გადამდები სენი გაჩნდეს".

კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით, ტფილისიდან შემახაში გაიგზავნა კავკასიის მსროლელთა მეორე ბატალიონი და კავკასიის საპერთა 1-ლ ბატალიონის ერთი როტა იარაღებითა და სხვა-და-სხვა საჭირო მანქანებით ქ. შემახას მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად და ნანგრევების გადასათხრელად. საინტენდანტო უწყებამ გაგზავნა აგრეთვე დიდ-ძალი საჭირო სურსათი და კარვები ხალხის სადგომებად.

ხელმწიფე იმპერატორმა 50 ათასი მანეთი შესწირა შემახის დაზარალებულთა სასარგებლოდ.

როგორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, სულ 21 ცოცხალი კაცი აღმოუჩენიათ ჯერჯერობით ნანგრევებ ქვეშ.

ტფილისში ჩამოვიდა შემახიის საქალაქო სასწავლებლის მმართველი ბ. მამალაძე, რომელსაც კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნება დართო ტფილისში დარჩენისა ოჯახობით, რადგანაც სკოლის შენობა შემახაში მიწის ძვრის გამო ძალიან დაზიანებულა. ბ. მამალაძის სიტყვით, რაღაც აუწერელი საზარელი უბედურება მოუხდენია მიწის ძვრას. ჯერ კიდევ უმეტესი ნაწილი ნანგრევებისა არ გადუთხრიათ, რადგანაც ძალიან ცოტაა მუშა ხელი, და გარდა ამისა, ხან-და-ხან მიწა კიდევ ირყევა და ხალხს ეშინიან ნანგრევების მიკარება, სადაც, ანგარიშით, ათასობით ცოცხალი ადამიანებია დამარხული. ბ. მამალაძის სიტყვით, პირველი შენძრევა მიწისა იყო საზარელი და საშინელი, რომელმაც შენობები უცბად დაამხო; შემდეგ მიწის ძვრა თანდათან შესუსტდა. შემახაში ითვლებოდა 20,008 მცხოვრები, უმეტეს ნაწილად მაჰმადიანები და შემდეგ სომხები. ჯერ მალე ვერ გაიგებენ, რამდენი ადამიანი მოაკლდა ამ ბეჩავ მცხოვრებლებს.

პრესსა

განსაკუთრებულ კომიტეტის შესახებ, რომელსაც დაევალა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამორკვევა, „პეტერბ. ვედომოსტ"· ლაპარაკობენ. ეს გაზეთი ნაკლებ ოპტიმისტობას იჩენს ამ საკითხში, ვიდრე „ნოვ. ვრ.". ეს უკანასკნელი, როგორც ამას წინადაც გვქონდა მოყვანილი, დიდ იმედებს ამყარებს განსაკუთრებულ კომიტეტის მოღვაწეობაზე. „პეტერბ. ვედომოსტი"-კი ამბობენ:

> „ჩვენ წინ გადაშლილია სასოფლო მეურნეობისა და ხალხის მრავალგვარი წყლული და იარა, რომელნიც უშლიან სახელმწიფო ორგანიზმის სალსა და ნორმალურს არსებობასა და წინსვლას, თვით დრომ შეუცდომელად გამოარკვია სენის ხასიათი. ჩვენ ვიცით, რომ სოფლის მდგომარეობა ირღვევა ბევრ დიდმნიშვნელოვან მიზეზებისა გამო. ხალხში წერა-კითხვის გავრცელება იმ დროს, როდესაც მხოლოდ მისგან თხოულობენ სახელმწიფო გადასახადებს, ვერ მიაღწევს დანიშნულებას; ასევე ვერ მიაღწევს დანიშნულებას, თუ გლეხებს მიენიჭა სხვა მცხოვრებთა უფლებანი, ხოლო მისი ეკონომიური მდგომარეობა ხელ-უხლებელი დარჩა და მას ამ მხრით არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა. მხოლოდ მაშინ შეიძლება ნორმალურ პირობებში ჩადგეს ხალხი, როდესაც ყურადღებაში თანაბარად მიიღებენ მის პოლიტიკურსა და ეკონომიურ მდგომარეობასაც».

ასეთს სამართლიანს შენიშვნას გაზეთისას „ნოვოსტი" დასძენენ:

> «ყოველივე ეს მართალია, მაგრამ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ განსაკუთრებული კომიტეტი ძლევამოსილი იყოს და რომ რასაც ის მოისურვებს, ის უთუოდ ასრულდება კიდეც. ღმერთს მადლობა უნდა შევსწიროთ, თუ გლეხები სხვა მცხოვრებთა სამოქალაქო უფლებებს მაინც მიიღებენ»

საქმეც ის არის, რომ სოფელი იმგვარ მდგომარეობაშია, რომ ვერც ისარგებლებს სამოქალაქო უფლებებით, თუ ყოველმხრით არ იქმნა გაუმჯობესებული მისი ყოფა-ცხოვრება.

რუსეთის ქრონიკა

∝ უმაღლესის ბრძანებით, იუსტიციის მინისტრს მიენიჭა უფლება სამეურნეო ახალშენების და სახელოსნო თავშესაფრების საზოგადოებათა წესდებების დამტკიცებისა.

∝ საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს გადააკეთოს ყველა ოთხ-კლასიანი ტეხნიური სასწავლებლები შვიდ-კლასიანებად და უწოდოს მათ რეალური სამრეწველო სასწავლებლები. ამ ახალ სასწავლებლებში შემოღებული იქნება ხუთ-კლასიან რეალურ სასწავლებლების პროგრამა. ორის წლის განმავლობაში-კი ასწავლიან ამა თუ იმ სპეციალურ საგანს.

∝ მკითხველებმა იციან, რომ ახლოხანში პეტერბურგს მოხდება შინა-მრეწველთა კრება. სხვათა შორის, ამ კრებაზე განიხილავენ საკითხს იმის შესახებ, რომ პეტერბურგში დაარსდეს სასწავლებელი, რომელშიაც სპეციალურად უნდა შეასწავლონ შინა-მრეწველობის სხვა და სხვა დარგი. აგრეთვე განსახილველია საკითხი იმის შესახებ, რომ დაარსდეს პეტერბურგში ბიურო საოჯახო მრეწველობის საჭიროებისათვის. რაც შეეხება საოჯახო მრეწველობის გამოფენას, იგი, როგორც სჩანს, მდიდარი იქნება: თითქმის მთელი რუსეთი იღებს მონაწილეობას გამოფენაში.

∝ „ტორგოვო-პრომიშლ. გაზ"-ის სიტყვით, ხელმწიფე იმპერატორმა წინადადება მისცა ფინლანდიის სენატს, მხედველობაში მიიღოს საერო კრების თხოვნა იმის შესახებ, რომ მუშათა მდგომარეობის გამოსარკვევად და საზოგადოთ, მუშათა კითხვის შესახებ საქმეების გასარჩევად დასაარსებელს კომისიაში წარმომადგენლები მრეწველთაგანაც იყვნენ და მუშებიდანაც.

∝ როგორც იალტიდან იტყობინებიან, რუსეთის დიდებული მწერალი ლ. ნ. ტოლსტოი ძალიან ავად არის თურმე ამ ჟამად.

ოზურგეთის ქალაქის საბჭო

28 იანვარს მოხდა ჩვეულებრივი საბჭოს კრება. საბჭოს კრების განსახილველი საგანი იყო 16 სხვა-და-სხვა საკითხი. ჩვენ უადგილობის გამო შევეხებით ამათში უფრო საყურადღებოს. ხმოსანი ბ. ს. გრიაზნოვის მოხსენების თანხმად საბჭომ დაადგინა „საპარასკეოზე" ნაცვლად იმ ქოხმახი ბუდკებისა გაკეთდეს რვა ქვიტკირის შენობა ამავე მიზნისთვის. გრიაზნოვის აზრით, სჯობს ეხლავე ისე დავიჭიროთ საქმე, რომ „ბუდკებზე" მერმედ გადაიდგას საქალაქო ათთიაქი... მეორე მოხსენება ბ-ნი გრიაზნოვისა უფრო მეტ მნიშვნელოვანია. დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქალაქისათვის, ისე მის მახლობელ მცხოვრებთათვის. ეს რამდენიმე წელიწადია, რაც მდ. ბჟუჟმა დატოვა თავისი კალაპოტი და გაიკვლია ახალი. მისი დღევანდელი მიმდინარეობა იმდენად საშიშია, რომ ბევრს მოელის ყურა და ახალი სამოსახლოს ძებნა. ბევრს უკვე წაართვა სამოსახლო და გაშენებული ადგილები. ეს საშიში მდგომარეობა რამდენიმე მცხვრების და ქალაქის ერთი ნაწილისა მრავალჯერ იყო გაზეთებშიაც მოხსენებული. გრიაზნოვის აზრით, საჭიროა თვით საბჭომ იკისროს ამისი მეთაურობა და იმეცადინოს ადმინისტრაციით ან და მცხოვრებლებთან ერთად შეერთებით იმეცადინონ მდინარის ძველ კალაპოტში გადაგდება. საბჭომ ხმის უმეტესობით ამ საქმისათვის გადასდო 20 თუმანი და აირჩია კომისია, რომელიც უნდა მოელაპარაკოს მაზრის უფროს და მისის დახმარებით საქმეს უნდა შეუდგნენ. სრული იმედი გვაქვს, რომ ბ. მაზრის უფროსი თავისებური ენერგიით მოეკიდება ამ საქმეს და ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს საბჭოს. ამავე საბჭომ გადასწყვიტა ნაცვლად 84 ფარნისა დაიდგას ასი... გაუმჯობესდეს ქუჩები, მოიკენჭოს და სადაც შეიძლება კიდეც გაფართოვდეს. საბჭოს მოხსენდაა გრეთვე, რომ ქალაქის ამბულატორიის ფერშალს მოემატოს სასყიდელი. დღეს ფერშალს მთელი დღის შრომაში ეძლევა 12 მან. მას იმდენი საქმე აქვს, რომ კერძო პრაქტიკა სულ არ აქვს. კრებამ, რომელშიცსამი ექიმიც ურევია, მიიღო მონაწილეობა და 12 მ. ნაცვლად დაუნიშნ 15ა მან., ფერშალი [illegible]. ამავე სხდომაზე ამორჩეულ იქმნა კომისია, რომელთაც მიენდო ანუსხვა, თუ რა იარაღების და წამლების ყიდვაა საჭიროებაა დღეს ამბულატორიისათვის საჭირო, რომ მისი მოქმედება გაფართოვდეს.

სხდომაზე გარდაწყვეტილ იქმნა აგრეთვე ბაღს მიექცეს მეტი ყურადღება და სხვა.

№№.

თეატრი

ბათუმი. იანვრის 31-ს აქაურ „რკინის გზის თეატრში" სწორედ საინტერესო წარმოდგენა იყო გამართული. წარმოდგენას დაესწრო თითქმის ბათუმის მთელი საზოგადოება და თეატრში ტევა აღარ იყო. სიმღერა-გალობის მოყვარულებმა წარმოადგინეს თავიანთ ძალ-ღონით ვერდის ოპერა „რიგოლეტტო". წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. რასაკვირველია, ბევრი რამ ნაკლულევანება აღინიშნება მოთამაშე-მომღერალთა შესახებ, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს პირველი ცდა იყო ამგვარ ძნელ საქმეში, როგორც მოყვარულთაგან მთელის ოპერის თამაშია, ცდა კარგი და საიმედო გამოდგა. ყველაზე უკეთესი იყო ორკესტრი; მომღერლებში, პრემიერებიც თავ-თავიანთ ადგილზე იყვნენ,—პირველი უნდა დაეთმოს ქალ. ფიცინკოფშელიას, ჯილდას როლის აღმასრულებელს. მას მეტად ლამაზი და კარგად შემუშავებული ხმა აქვს; ამას ზედ ერთვის შნოიანი გარეგნობაც; კარგები იყვნენ ბ.ბ. ფრანცოვი, სნეჟკოვი (რიგოლეტტო) და ჩუმაჩენკო.

ამ საღამომ დაგვარწმუნა, რომ თუ განაგრძეს მუშაობა, ბათუმში საოპერო დასიც გვეყოლება მოყვარეთაგან შემდგარი, როგორც გვყავს ამ ჟამად დრამატიული დასები მოყვარულთაგანვე შემდგარი. როგორც მოთავეებმა მითხრეს, „რიგოლეტოს" შემდეგ ისინი აპირებენ ვერდისავე ოპერის „ტრუბადურის" წარმოდგენას.

ბათუმლები, როგორც ეცოდინება მკითხველს, ჯიუტი ხალხია და თუ რამ განიზრახეს, უსათუოთ თავისას გაიტანენ და ამიტომ ადვილათ დასაჯერებელია, რომ ეს მუსიკის მოყვარულები აღარ გაგვიხდიან სანატრელად საოპერო წარმოდგენებს.

დიახ, სერიოზულ მუშაობით და შეერთებულის ძალით ბევრი რამ, რაც არ გგონია, გაკეთდება—რაც, საუბედუროდ, სრულიად დავიწყებული აქვთ, როგორც სჩანს, აქაურ ქართულ სცენის მოყვარეთ, დას-დასებად დაყოფილთ.

ვ.

წერილი ბაქოდან

(ახალი საქველ-მოქმედო საზოგადოება.—შემახის უბედურების გამო).

როგორც დეპეშებმა გაუწყეთ, ბაქოში დაარსდა „უბედურ ქალთა დამხმარებელი საზოგადოება". ამ საზოგადოების დაარსების ინიციატორად უნდა ჩავთვალოთ აქაური ცნობილი ქველ-მოქმედი მდიდარი გ. ზ. ა. ტაღიევი, რომელიც უხვად უწყობს ხელს ყოველ კეთილ საქმეს. თუმც ამ მილიონერს სწავლა-განათლება არ მიუღია, მაგრამ ყოველ კეთილ საქმეში დიდ გამჭრიახობას იჩენს და სრულებით ყურადღებას არ აქცევს არც ხალხოსნობასა და არც სარწმუნოებას.

ეხლაც მისი ჩაგონებით გაზ. „კასპის" რედაქტორი ატ. თოფჩიბაშევი შეუდგა მოხსენებული საზოგადოების დაარსებას. ამ საზოგადო

მიზეზი ის არის, რომ მზრუნველობა გაუწიოს და დაიხსნას განსაცდელისაგან როგორც გაუბედურებული დედა-კაცები, ისე ისინიც, რომელთაც, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, ესეთი ხვედრი მოელით.

პირველი კრება ამ ახალი საზოგადოების წევრებისა იყო 27 იანვარს აქაური არტისტიული კლუბის დარბაზში. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ბ-ნი თოფჩიბაშევი და მერმე შეუდგა საზოგადოების წესდების შემუშავებას. წესდების ძალით წევრნი საზოგადოებისა ორ-გვარი იქნებიან: ნამდვილნი და თანამგრძნობელნი. ნამდვილმა წევრმა უნდა გადაიხადოს წელიწადში 5 მან., მეორე გვარის წევრმა არა უმცირეს 1 მან., ხმა კი ყველა წევრებს ერთნაირი ექნებათ. საზოგადოების გამგეობა უნდა იყოს შემდგარი 6—12 წევრთაგან; მათგან ნახევარი მანდილოსნები უნდა იქმნენ. პირველ კრებას ბლომად დასწრნენ მანდილოსნები, რომელთაგან წესდების განხილვის შემდეგ, კრებამ აირჩია ათი მანდილოსანი და მიანდო მათ იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე წესდების დამტკიცება.

—

ბაქოში დღეს ძლიერ ბევრი არიან როგორც თათრები, ისე სომხები, რომლებიც შემახიდან გადმოსახლებულან აქ მას შემდეგ, რაც ეს ქალაქი მიწის ძვრისაგან დაიქცა 1872 წელში. მაგრამ ბევრს მათგანს დღესაც აქვთ იქ სახლები და ახლობელი ნათესავებიც ჰყავთ. ამიტომ შემახის უკანასკნელი უბედურების ამბავის გაგებამ თავ-ზარი დასცა ბაქოელებს. როგორც მოგეხსენებათ, 31 იანვარს კვლავ დაიქცია შემახა მოულოდნელმა მიწის ძვრამ და ისე დაიქცა, რომ, როგორც ამტკიცებენ, 12 შენობა ძლივს გადარჩენილა დაუნგრეველი. ბევრმა აქედან ზედი-ზედ გაგზავნა დეპეშა, მაგრამ პასუხი არავის მიუღია. ადამიანებიც ათასობით დაღუპულან. როგორც კი ამბავი მოვიდა, იმ წამსვე შეუდგნენ აქ ფულის შეგროვებას. პირველად თაღიევმა შესწირა ასი თუმანი.

წყალტუბელი

წერილი კახეთიდან

(ექიმობა.—სასოფლო ქსენონები)

მთელ თელავის მაზრაში ორად-ორი ექიმია, გაღმა-გამოღმა და აბა სად შეუძლიათ ამოდენა მაზრის მოვლა. თუნდაც რომ შეიძლონ, გლეხთაგანი ექიმს მაინც ვერ მიიწვევს სოფლად, რადგანაც თითო მისი მისვლა ავადმყოფთან 15—20 ვერსტის მანძილზე ჯდება არა ნაკლებ 8—10 მანეთისა და ამის გადახდა კი ყოველ მიწვევაზე გლეხისათვის შეუძლებელია.

სასოფლო ქსენონის ხსენება ხომ არც კია გამოღმა მხარეს. ალაზნის მარცხენა მხარეს კი დაარსდა ამ რამდენიმე წლის წინად სახელმწიფო სასოფლო ქსენონი სოფ. ენისელში, მაგრამ იგი გაღმა მხარესაც ვერ აკმაყოფილებს სივიწროვისა და სოფლების სიშორის გამო და გამოღმელებისათვის ხომ მისით სარგებლობა შეუძლებელია.

ხშირად გვინახავს, რომ გლეხს დაუწვენია ავადმყოფი ურემზე და თელავში ჩამოუყვანია რამდენიმე ვერსტის სიშორიდან მაზრის ექიმთან; ჯერ თელავის ქუჩებს მოატარებენ, ვიდრე კითხვა-კითხვით ექიმის სახლს არ წააწყდებიან, და მერე მის კარებზე დააყენებენ.

ამ ბოლო დროს კი, ცოტა არ იყოს, გლეხებმაც შეიგნეს და იგრძნეს ექიმ-წამლობის სარგებლობა. ეხლა ზოგი მათგანი არამც თუ გაურბის ამ სასარგებლო საქმეს, არამედ მოწადინებულია-კიდეც საკუთარი მკურნალის ყოლას და სასოფლო ქსენონის დაარსებას. რამდენიმე სოფელი თელავის მაზრის: ქისტაურიდან დაწყებული კურდღელაურამდე (სოფ. ქისტაური, ოსიაური, ახაანი, ალავერდი, კონდოლი, ძველი ხორხელი, ჯანაანი, ზემო ხოდაშენი აწყური, იყალთო და გულ-გული) შეერთდნენ, ერთად და ჯერ ისევ 1900 წელს თიბათვეში დაადგინეს ყველამ ცალ-ცალკე განაჩენებისას. ქსენონის დაარსების შესახებ სოფელ იყალთოში. მათ თავიანთი განაჩენები წარუდგინეს თელავ-თიანეთის მაზრების მომრიგებელ შუამავალს თავ. ნ. გ. ჭავჭავაძეს (რომელსაც დიდი შრომა მიუძღვის ამ საქმეში) საშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე. ქსენონის დაარსებას იყალთოში დიდათ თანაუგრძნო ადგილობრივმა მემამულემ თავ. დიმიტრი ივ. ძე მაყაშვილმა, რომელმაც შესწირა 500 მ. ფულად და ერთი დღიური (½ დესეტინა) მიწა სახლის ასაშენებლად.

ეხლა-კი, როგორც სარწმუნოდ შევიტყეთ, მთავარ-მართებელს დაუმტკიცებია ინსტრუქცია სასოფლო ქსენონის გახსნისა სოფ. იყალთოში და გადმოუცია აღსრულებაში მოსაყვანად, ასე რომ ამ მოკლე ხანში ყველა ზემო დასახელებულ სოფელს ექნებათ საკუთარი საავადმყოფო და აფთიაქი, ეყოლებათ ექიმი თავისი ფერშლით, რომელიც მალ-მალე ეწვევა ყოველ სოფელს, თითქმის უფასოდ გაჰსინჯავს ავადმყოფებს და გამოუწერს წამალს; ამას იქით ისე უყურადღებოდ აღარ იქნება აქაური ავადმყოფი, როგორც აქამდე იყვნენ.

დიმიტრაშვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

4 თებერვალი.

პეტერბურგი. 2 თებერვალს საზამთრო სასახლის საკონცერტო ზალაში პეტერბურგში მყოფ ქართველთა დეპუტაციის პატივსაცემლად გაიმართა სადილი. უმაღლესი სუფრა გამართული იყო 46 კაცისათვის. შუა ადგილი ეკავა მის იმპერატორებით უდიდებულესობას, მარჯვნივ და მარცხნივ ისხდნენ დედოფლები მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული. სადილის დროს ხელმწიფე იმპერატორმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: „მე ბედნიერი ვარ ერთხელ კიდევ მოგესალმოთ ჩემსას; მათ უდიდებულესობათა დედოფლების მხრივ და ჩემ მხრივაც ვსვამ თქვენ სადღეგრძელოს და ვუსურვებ წარმატებას ჩვენთვის საყვარელ ქართველ თავად-აზნაურობას“. მის უდიდებულესობის სიტყვის შემდეგ სასახლის ორკესტრმა დაუკრა ქართული ეროვნული ხმა. სადილის შემდეგ მათი უდიდებულესობანი მოწყალედ ესაუბრებოდნენ ქართველ თავად-აზნაურობის წარმომადგენელთ.

2 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორი ხელმწიფე დედოფლები მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და სხვა საგვარეულონი პირნი მარინსკი თეატრში დაესწრნენ საქველმოქმედო წარმოდგენას რუსული სათეატრო საზოგადოების სასარგებლოდ.

პირველ თებერვალს წარუდგა მისს უდიდებულესობას გეოგრაფიული საზოგადოების ტიბეტის ექსპედიცია თავის უფროსის კოზლოვითურთ.

ბაქო. უკანასკნელი ცნობებით შემახას შუა და ქვემო ნაწილები მიწასთან გასწორებულია; ქალაქის მთელი მაჰმადიანი მცხოვრებლები დაზარალდნენ. ნანგრევებთა და ათასობით ადამიანთა მსხვერპლის სურათი აუწერელია. დედა-მიწა კიდევ ირყევა. მახლობელი სოფლებიც დაზიანდნენ. ამ შემთხვევის გამო შემდგარი კომიტეტი, ცნობილი ტაღიევის თავმჯდომარეობით, შემახაში გზავნის ხუთას თუმანს ფულად, ჩაის, შაქარს, პურს, ექიმებს და ფერშალ ქალებს საჭირო მასალით. ბუხარის ემირმა შესწირა დაზარალებულთათვის სამასი თუმანი. „კასპის“ რედაქციამ თავის ხარჯით გაგზავნა თავის თანამშრომელი და საკუთარი ექიმი, რათა დახმარება აღმოუჩინონ დაზარალებულთ; გაზეთი ამასთანავე იღებს შემოწირულებას.

ბაქო. ბუხარის ემირი მოვიდა და პეტერბურგს მიემგზავრება. მთავარმართებელმა ნება დართო შემოწირულებათა მიღებისა დაზარალებულ შემახელთათვის.

სარატოვი. გლეხთა განთავისუფლების ორმოცდა-ათის წლის შესრულების აღსანიშნავად ქალაქის კომისიას აზრად აქვს სახალხო სახლი დააარსოს სარატოვში.

კიევი. აქ მოვიდა საერთო განათლების მინისტრის ამხანაგი ზინგერი.

ლოძი. აქ სტუმრად მოსული ჩეხიის სავაჭრო ფირმების წარმომადგენელთ ადგილობრივ გამოჩენილ ფირმებთან სავაჭრო საქმე დაიჭირეს.

ეკატერინოსლავი. გუშინ შესდგა მსწავლულთა საზოგადოების სადღესასწაულო სხდომა საფრანგეთის ქიმიკოსის ბერტელოს პატივსაცემად, იმის ორმოც-და-ათის წლის სამეცნიერო მოღვაწეობის გამო.

ხარკოვი. სამხედრო საბჭოს წევრი ვინბერგი პეტერბურგში წავიდა.

პავლოვსკის სექტანტების საქმე გათავდა.

ეკატერინბურგი. სამარა-ზლატოუსტის რკინის გზაზე, სადგურ ჩელიაბინსკს და ბიშკილს შუა საქონლის მატარებელი დაზიანდა. 15 ვაგონი დაამტვრა, მემანქანეს ფეხი მოსტყდა.

პოლტავა. საადგილ-მამულო ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ ამოირჩიეს ხრულევი.

მოსკოვი. გენერალ-გუბერნატორის სახლში ბალი იყო. მოწვეულთა რიცხვი—1,200 კაცი.

ირბიტი. ციმბირის ვაჭრებმა თავი მოიყარეს. ვაჭრობა შარშანდელზედ ნაკლებია. მიზეზი—მოუსავლობა და უგზოობაა.

ბაქო. შემახაში გაიგზავნა საპიორები და მსროლელთა ბატალიონი ორასის კარავით. ყველანი გარედ ცხოვრობენ. ქალაქის მოედანზე გამართულია დაზიანებულთა დამხმარებელი ადგილი როგორც ჰგონიათ, ნანგრევებში მოყოლილია ორი ათასამდე მაჰმადიანთა ქალები და ბავშვები. სოფელ მარაზის ახლო აღმოჩნდა ვულკანი. მდინარე გეოქჩაიმ, რომელიც ფლატოებმა შეაგუბეს, კალაპოტი შეიცვალა.

პეტერბურგის ბირჟა 1 თებერვალს

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,95	
ბერლინზე 100 მარკაზი	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,65	
ბერლინზე	46,30—46,27½	
პარიზზე	—	
ბირჟის დისკონტი	5—7%	
4% სახელმწიფო რენტა	96⅛	გაყიდ
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. სა ადგ. მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლი შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	477½	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	386	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	196	„
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	89	„
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	89⅝	„
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო – გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) **ქუთაისიდან** [illegible]სკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევს 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე და ბაქომდე: 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 3[illegible] ამ მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

საავადმყოფო

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლს. საერთო ოთახში—12 მან. ცალკე—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 [illegible]ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასო. მკურნალობს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სარტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის [illegible] ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო [illegible]ის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი [illegible].

ქალაქის საავადმყოფო ავადმყოფთათვის, უფასო, იმერ[illegible]ის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენ[illegible]ის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვ[illegible]

სიფილისით ავადმყოფ ქალ[illegible] ავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პე[illegible] მკდესიასთან. 25 ადგილი უფასო[illegible]—ფასიანი. თვეში დირს 12 [illegible] ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთა საავადმყოფო. გამგე ექიმი გუ[illegible]

ქალაქის უფასო ღამე თავ-[illegible]ხლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მ[illegible]ლი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გ[illegible]ისა.

განცხადებ

ახალი წიგნი

საქართველოს წმიდანე

შედგენილი სასულიერო სკოლებისთვის
გ. იოსელიანის-მიერ

მოწონებულია საქართველოს საეპარქიო სწავლებლის რჩევისაგან.

იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებ საზოგადოების კანცელარიაში. (10

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზია იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს № [illegible] თითო [illegible]-რი [illegible] კ. დამატებით—[illegible] კაპ.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
ზ. ი. კალლიზეს
რუჟეის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკ
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელში.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი-საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—8)

კბილის საექიმო კაბინეტ
ელისაბედ როჟანიშვილისა
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან ათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის

იყიდება ვაზის რქა
ამერიკული ვაზ. ს სანერგე
მიხრან ალ. ანანოვისა. სადგურ
Riparia gl. p. c. 10 (სამკნობი ძირი)—p. c. 3
Rupestris mont „ 14 „ — „
Berlandieri „ 30 „ — „ 10
ჰიბრიდი ფრანკა პირდაპირი წარმოებელი . . . 50
იქვე ისყიდება ღვინისათვის მუხის ახალი ბოჩკები სხვა-და

Дозволено цензурою Тифлисъ, 4 Февраля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომ